პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 174 (3151)

7 1966 წ. სექტემბერი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ოქროს მედალოსნები







სურათებზე: ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის გმირები: ზევით, მარცხნივ — ი. კირშენშტეინი, რომელიც პირველი იყო 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში; მარჯვნივ — შუბის ტყორცნაში გამარჯვებული ი. ლუსისი ასპარეზობისას; ქვევით — 5.000 მეტრზე რბენაში კონტინენტის ჩემპიონი მ. უაზი დისტანციაზე.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ევროპის ჩემპიონაჟი მძლეოსნობაში

სპორტული სექტემბერი

სექტემბერში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები 62 ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას და 50-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შეხვდებიან. ამ თვეში უნდა ჩატარდეს მსოფლიოს 4 ჩემპიონატი და ერთიც ევროპის პირველობა.

დღეს ინგლისში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ცხენოსნურ სამგზიდში, 8 სექტემბერს ბლედის ტბაზე (იუგოსლავია) აკადემიურ ნიჩბოსნობაში, 20 სექტემბერს გფრ-ში ტანვარჯიშში, შემდეგ მსოფლიო პირველობა საიალქნო სპორტში („ვარსკვლავთა" კლასი). ავსტრიაში კი გათამაშდება კონტინენტის ჩემპიონატი „ფინის" კლასში.

5 სექტემბერს პრაღაში სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ტრადიციული ასპარეზობა დაიწყო. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ „დინამოს" მოცურავეები და წყალბურთელები. საბჭოთა წყალში მხტომელები 10 და 11 სექტემბერს გამოვლენ კიევში, სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების მატჩში.

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა უძლიერესი მთამსვლელები იტალიელ სპორტსმენებთან ერთად სექტემბერში დალაშქრავენ იტალიის ალპების ერთ-ერთ მწვერვალს.

სექტემბერი საინტერესო იქნება ტყავის ბურთის თაყვანისმცემლებისთვისაც. ჩვენი ნაკრები 18-ში ბელგრადში შეხვდება იუგოსლავიის გუნდს. მოსკოვში კი იმავე დღეს შედგება ამ ქვეყნების ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი. სსრ კავშირის ჩემპიონი — „ტორპედოს" გუნდი 28 სექტემბერს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე პირველ მატჩს გამართავს მილანში ადგილობრივ „ინტერნაციონალეს"თან". ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელები, მოსკოვის სპარტაკელები კი იმავე დღეს იუგოსლავიაში ითამაშებენ ოფკ-ს გუნდთან (ბელგრადი).

განსაკუთრებულ ინტერესს მაინც, რა თქმა უნდა, სსრ კავშირისა და საფრანგეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი იწვევს. იგი გაიმართება 17-18 სექტემბერს კიევში.

ქართველ სპორტის მოყვარულებს სექტემბერში საშუალება ექნებათ იხილონ გდრ-სა და საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. ამავე დროს საქართველოს ეწვევა ავსტრიის პროფესიული კავშირების ძიუდოისტთა გუნდი, რომელიც საბჭოთა ათლეტებთან შეხვედრებს ბორსა და ქუთაისში ჩაატარებს.

ბ. ხაჩიძე.

ეს საინტერესო!

◆ ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. ევროპის ჩემპიონთა თასზე მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდის მომავალმა მეტოქემ, ამ პრიზის ორგზის მფლობელმა იტალიის „ინტერნაციონალემ" დამარცხება განიცადა ბრაზილიის „სანტოსთან" მატჩში — 1:4. უკვე მე-6 წუთზე ედუმ გასწია ანგარიში. 23 წუთის შემდეგ მაცოლამ აოდგინა წონასწორობა. შესვენების შემდეგ ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო. ჯერ ტონინიომ (პელეს გადაცემიდან), შემდეგ პელემ (მან ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს, მოატყუა მეკარეც) უფრო დააწინაურა „სანტოსი". მეთხუთე ბურთის ავტორია მენგალვიო.

◆ პრაღა, 6 სექტემბერი. აქ გამართულ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა გუნდმა იოლად ძლია იუგოსლავიის ფრენბურთელებს — 3:1. უფრო საინტერესო იყო პოლონელ და იაპონელ სპორტსმენთა მატჩი. პოლონელთა გუნდმა შეძლო ძნელი გამარჯვების მოპოვება — 3:2.

◆ ბელგრადი, 6 სექტემბერი. იუგოსლავიის გზებზე გამართული საერთაშორისო ველორბოლაზე ბელგრად-ტიტოვოს ეტაპი მოიგო მასპინძელმა — რ. კუბრიკმა. იგი ერთპიროვნული ლიდერიც გახდა. საბჭოთა ველოსიპედისტები ჯერჯერობით წარუმატებლად გამოდიან.

◆ სოფია, 6 სექტემბერი. ბულგარეთის სახელგათქმულ კეთილ-ტზე — „ოქროს ქვიშა" დაიწყო მოკვადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. 2 ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვთ მოსკოველებს ვ. სიმაგინს, ა. ხასინს, ავრეთვე უნგრელ ი. ფლეშს.

იყვნენ სოლისტები, არ იყო გუნდი

5 სექტემბერს პრაღაში დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი.

საბჭოთა ფრენბურთელები შეხვდნენ მასპინძლებს: I პარტია ჩვენებმა თითქოს კარგად დაიწყეს, დაწინაურდნენ კიდეც — 4:0, მაგრამ ჩეხოსლოვაკიელებმა მალე აღადგინეს წონასწორობა — 4:4. შემდეგ კვლავ საბჭოთა გუნდი გავიდა წინ — 7:3, თუმცა მასპინძლები ისევ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, ანგარიში გაათანაბრეს — 7:7 და პარტია თითქმის მოგებამდე მიიყვანეს — 14:8. სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეები მხოლოდ ამ საბედისწერო მომენტში ამოქმედდნენ. და მოიგეს I პარტია. პირველსავე პარტიაში გამოჩნდა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშის ე. ლაპინსკის უხეში შეცდომები. მისი შეცვლა ნაკრების მწვრთნელებმა მხოლოდ მეორე პარტიის დასაწყისში „გაბედეს".

მართალია, შემდეგ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში მთელი რიგი ცვლილებები მოხდა, მაგრამ ცალკეული სოლისტების (ი. ვინგეროვსკის, ვ. კრავჩენკოს, ვ. კაჭარავას) კარგმა თამაშმა საქმე ვერ გამოასწორა — მოედანზე არ ჩანდა მონოლითურად შეკრული გუნდი. ჩვენების ტაქტიკა მეტად ღარიბი იყო. ერთი სიტყვით, კოლექტივი ერთფეროვნად მოქმედებდა და სწორედ ამან განაპირობა მათი საბოლოო დამარცხება—2:3 (16:14, 12:15, 9:15, 15:6, 4:15). მასპინძლების მთავარი იარაღი ბლოკი იყო. საბჭოთა ფრენბურთელებმა სწორედ ბლოკის საწინააღმდეგოდ ვერ გამოძებნეს ვერავითარი ხერხი. ჩვენები იშვიათად იყენებდნენ შეტევით დარტყმებს მეტოქის უკანა ხაზის მონაკვეთზე (ჩეხოსლოვაკიელები სწორედ აქ მოისუსტებდნენ), უგულებელყოფდნენ ცრუ მოძრაობებს და სხვ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენები ყოველ პარტიაში უხეირო მდევრების როლში გამოდიოდნენ და 5 გათამამებული პარტიიდან მხოლოდ ორში მიაღწიეს უპირატესობას.

ამ დღის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: იაპონია — იუგოსლავია 3:2, რუმინეთი — გდრ 3:1, ბულგარეთი — პოლონეთი 3:2.

წილისყრა შედგა

კლაგენფურტში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების წილისყრა ჰოკეიში. ამ შეჯიბრებაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას ცსკა-ს სპორტსმენები. მოსკოვის არმიელები, ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონები, ავრეთვე გდრ-ის, ბულგარეთის და უნგრეთის საუკეთესო გუნდები ასპარეზობაში ჩაებმებიან მეორე წრიდან. პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებიან: გფრ — ავსტრიის, იტალია — იუგოსლავიის, შვეიცარია — საფრანგეთის, პოლონეთი — რუმინეთისა და ნორვეგია — ფინეთის ჩემპიონები. პირველი ტურის შეჯიბრებები 26 ნოემბრამდე უნდა დამთავრდეს, მეორისა — 26 დეკემბრამდე, მეოთხეფინალები — 1967 წლის 16 იანვრამდე, ნახევარფინალები — 15 თებერვლამდე, სოლო ფინალი — 4 მარტამდე.

გამარჯვების მიუხედავად

ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ჟურნალისტებმა გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კოლექტივის — სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს ლ. ხომენკოვს სთხოვეს აზრი გამოეთქვა საბჭოთა ათლეტების გამოსვლაზე, მათ მეტოქეებზე, ჩემპიონატის ორგანიზაციასა და „სპორტის დედოფლის" პერსპექტივებზე ევროპაში.

— გამარჯვების მიუხედავად, სსრ კავშირის ნაკრები თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა, — თქვა ხომენკოვმა. — წარუმატებლობა ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ამჯერად ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არ იყო ბევრი ცნობილი ათლეტი, — მათი ადგილი ახალგაზრდობას დაგუთმეთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გასამართლებელი საბუთი როდია. ჩემი აზრით, საბჭოთა მძლეოსნების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ორგანიზაციულ-მეთოდური ხასიათის ნაკლოვანებები გახლავთ, რასაც სერიოზულად უნდა დავუფიქრდეთ.

მსოფლიოს მძლეოსნურ სარბიელზე ძალთა შეფარდება შეიცვალა. ამ ჩემპიონატის მონაწილე 30 ქვეყნიდან თითქმის ყოველ მესამეს ძალიან ძლიერი სპორტსმენები ჰყავს. ისინი დეპპატრონენ კიდეც საპრიზო ადგილებს. ამ ბოლო წლებში ევროპის მძლეოსნობა მეტისმეტად სწრაფად ვითარდება, შესაბამისად იზრდება შედეგებიც. ეს კი იმას მეტყველებს, რომ მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ძალზე სერიოზული და ყოველმხრივი სამზადისი გვმართებს. ჩვენი მეორე ნაკლი გუნდის სუსტი ფსიქოლოგიური მომზადებაა. რაც შეეხება სხვა ქვეყნების მძლეოსნებს, პირველ ყოვლისა, აღვნიშნავ სოციალისტური ქვეყნების გუნდების შესანიშნავ მიღწევებს. კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს გდრ-ის ათლეტებმა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში ცალკე გუნდით პირველად გამოვიდნენ. მონოლითურად იბრძოდნენ პოლონელები. მათი წარმომადგენლის ი. კირშენშტეინისთვის კი შეიძლება ამ პირველობის დედოფალი გვეწოდებინა.

კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ გფრ-ის, საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიის გუნდებს. მე ვფიქრობ, რომ ევროპის მძლეოსანთა ეს ჩემპიონატი კარგი გაკვეთილია მეხიკოს ოლიმპიადის წინ, განსაკუთრებით სსრ კავშირის ნაკრებისთვის, — დაასრულა ხომენკოვმა.

(დასასრული მე-3 გვ.)



ენგურჰესელები აბარებენ გამოცდას

ოც დღეს გრძელდებოდა ენგურჰესის მშენებელთა სპორტული გამოცდა — მეორე სპარტაკიადა. შეჯიბრებაში 14 სამშენებლო სამმართველოს 1500-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. ისინი გამარჯვებისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სპორტის 12 სახეობაში.

ტურნირი შესანიშნავად დაიწყეს ვარდნილი ჰესის მშენებლებმა და ფინიშთანაც წარმატებით მივიდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში მათ პირველობა დაისაკუთრეს. სპარტაკიადაში II ადგილზე გავიდა გვირაბის მშენებელთა კოლექტივი. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ აგრეთვე ძალოვანი კვანძის, მეხუთე ავტოკოლონისა და ჰიდრომექანიზაციის სპორტსმენებს. სამაგიეროდ, ხუსტად გამოვიდნენ კაშხალის, საგზაო, სამოქალაქო და მექანიზირებულ სამუშაოთა სამმართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები.

სპორტის ცალკეული სახეობების პირად ჩათვლაში თავი ისახელეს შ. ფიფიამ და ფ. ლზიანგინმა (ვარდნილი ჰესი), ჯ. დარახველიძემ (გვირაბმშენი), ზ. ორლოვამ და რ. კახაძემ (ძალოვანი კვანძი), ი. ცხადაიამ და ს. ყურაშვილმა (მეხუთე ავტოსატრანსპორტო კანტორა) და სხვებმა.

ა. ფიროცხალავა.

• • •

ს უ რ ა თ ებ ზ ე: მარცხნივ — სპარტაკიადის გახსნის ალლუმზე, მარჯვნივ — კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. ყუფუნიასი.

საქართველოს სპორტკავშირში

მუშაობის გაუმჯობესებისთვის

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ განიხილა „ვოდნიკის“ ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის საკითხი და აღნიშნა, რომ „ვოდნიკის“ საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც ფიზკულტურის 4 კოლექტივის 1686 ფიზკულტურელს აერთიანებს, ერთგვარ მუშაობას ატარებს მშრომელთა მახსობრივი გაჯანსაღების საქმეში. მაგალითად, ფოთის ნავსადგურის კოლექტივში სპორტის 19 სახეობაა დანერგული. კარგადაა დაყენებული სპორტის პროპაგანდის საკითხი და სხვ. მაგრამ წარმატებებს ნაკლოვანებანი სჭარბობს. ფოთის ნავსადგურის ფიზკულტურულ კოლექტივში იშვიათად ტარდება ფიზკულტურის საბჭოს სხდომები, დაბალ დონეზეა ქალთა შორის მუშაობა, ნაკლები ყურადღება ექცევა ცურვის განვითარებას, დავიწყებას მიეცა საწარმოო ტანვარჯიში, იშვიათად აწყობენ შიდასაკოლექტივო ტურნირებს, არ მონაწილეობენ საქალაქო შეჯიბრებებში, რის გამოც შეუსრულებელი დარჩა თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების შარშანდელი გეგმები.

თვით „ვოდნიკის“ საზოგადოებრივი რესპუბლიკური საბჭო ორგანიზაციულად განუმტკიცებელია. არ გააჩნიათ ერთიანი სამუშაო გეგმა და სპორტღონისძიებათა კალენდარი, ცუდი კავშირი აქვს დამყარებული ბათუმისა და სოხუმის კოლექტივებთან, რის გამოც ამ ქალაქების შესაბამის ორგანიზაციებში არასახარბიელო მდგომარეობაა. ბათუმის სპორტსასწავლებლის ფიზკულტურელთა რაოდენობა მოსწავლეთა მთელი კონტიგენტის მხოლოდ 45 პროცენტია და სხვ.

საქართველოს სპორტკავშირმა „ვოდნიკის“ საზოგადოებრივი რესპუბლიკური საბჭოსა და მისი ფიზკულტურის კოლექტივებში მუშაობის გაუმჯობესებისთვის მიიღო სათანადო ღონისძიება. „ვოდნიკის“ საზოგადოებრივ რესპუბლიკურ საბჭოს დაავალა გადაჭრით გაუმჯობესოს მუშაობა, მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიოს კოლექტივებს, ხშირად გამართოს შეჯიბრებანი, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, იზრუნოს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობა ჩაებას ფიზკულტურასა და სპორტში. ფოთის, ბათუმისა და სოხუმის სპორტკავშირებს დაევალათ მეტი ზრუნვა გამოიჩინონ „ვოდნიკის“ კოლექტივებისადმი და პერიოდულად მოისმინონ მათი საქმიანობის საკითხები.

რაკეტინი ტრიბუნიდან

ჩხოროწყუ

გაიმართა რაიონის პირველობანი ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში. ფრენბურთელთა ტურნირი მოიგეს ნაფიჩხოუს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა, მსროლელთა ასპარეზობა — გ. პაპასკირმა (ქვედა ჩხოროწყუ). გუნდურ ჩათვლაშიც მისმა სოფლელებმა იმარჯვეს.

ი. ნაბუეჯია.

გემმშენებლები — პირველნი

ბათუმის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს IV სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

კალათბურთში ჩემპიონები გახდნენ ხის დასამუშავებელი კომბინატის ვაჟთა და ნავთობგადასატვირთი ბაზის ქალთა კოლექტივები. ნავთობგადამტვირთავებმა თავი ისახელეს ვაჟთა და ქალთა ხელბურთშიც. შაშში ყველას აჯობეს ელექტრომექანიკური ქარხნის, ხოლო სიმძიმეების აწევაში — ელექტროტექნიკური ქარხნის სპორტსმენებმა. ცურვაში ჩემპიონი გახდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გუნდი. აქაური ფრენბურთელი ვაჟებიც უძლიერესი იყვნენ. ველოსპორტში პირველობა დაისაკუთრა სამკურნალო ფაბრიკამ, მძლეოსნობაში და ნიჩბოსნობაში, აგრეთვე ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესნი იყვნენ გემსაშენი ქარხნის ათლეტები. ჭადრაკში ჩემპიონი გახდა ელექტროხელსაწყოების ქარხნის ნაკრები.

სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში გამარჯვება გემსაშენი ქარხნის ფიზკულტურელებმა იზეიმეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ელექტროტექნიკური ქარხნისა და ნავთობგადასატვირთავი ბაზის კოლექტივები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

სამართალმა პური ჭამა

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირადი პირველობა სამგოში

ჩერნოვცი. (ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირადი პირველობა სამგოში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 127 ათლეტი, მათ შორის, სხვ. კავშირის 5 ჩემპიონი — ტრეტიაკოვი (ბელორუსია), ცუპაჩენკო (მოსკოვი), ესამბაევი (ყაზახეთი), პოლსტოკი (მოსკოვი) და ნიკულინი (კიევი).

წინასწარ ვიტყვით, რომ მათგან მხოლოდ ერთმა — მძიმე წონის ათლეტმა ტრეტიაკოვმა გაამართლა იმედები და I ადგილი დაიკავა. სხვა ფავორიტებზე უკეთ გამოვიდა ცუპაჩენკოც (მსუბუქი წონა, III ადგილი). ეს იყო და ეს. დანარჩენები პრიზიორთა სამეულშიც კი ვერ მოხვდნენ.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობამ მორალური რეაბილიტაცია მისცა მათ, ვინც არაობიექტური მიზეზებით დაიჩაგრა ლენინგრადში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. მაგალითისთვის შეიძლება მსუბუქი წონის მოჭიდავე ელგუჯა ნინიაშვილზე შევჩერდეთ.

ელგუჯა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამბისტთა ოჯახიდანაა. მამა, სსრ კავშირთა დამსახურებული მწვრთნელი ქრისტეფორე ნინიაშვილი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ელგუჯას ბიძას, ნიკოლოზ ნინიაშვილს არა ერთი და ორი ნიჭიერი სამბისტი აღუზრდია. იგი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია და ბევრი ნიჭიერი სამბისტის დაოსტატებაში მიუძღვის წვლილი.

აბა, რაღა გასაკვირია, რომ ელგუჯამ სამბო შეიყვარა? უმცროსმა ნინიაშვილმა სერიოზულად მოჭიდა ხელი წვრთნას და მალე შესამჩნევ წარმატებასაც მიაღწია. ლენინგრადში, საკავშირო პირველობაზე ელგუჯას I ადგილის მთავარ პრეტენდენტად თვლიდნენ, მაგრამ მოხდა, ისე, რომ მან ნახევარფინალში მეტად საეჭვო ბრძოლა წააგო ცუპაჩენკოსთან და ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლთა რიგს გამოაკლდა.

და აი, ჩერნოვცში ელგუჯას რევანშის საშუალება მიეცა. ჭაბუკ სამბისტს. ალბათ, არასდროს უჭიდავია ასე მონდომებით. მას სურდა დემტკიცებინა თავისი სიმართლე და აკი დაამტკიცა კიდეც. ნახევარფინალში იგი ისევ ძველ მეტოქეს შეხვდა, მაგრამ ამჯერად ნინიაშვილის უპირატესობა აშკარა იყო. ფინალში მან უკრაინელ ბონდარჩუკსაც მოუგო და I ადგილი დაისაკუთრა.

საკავშირო პირველობაზე „დაჩაგრულთა“ შორის ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ბადალიანიც იყო. ისიც ფავორიტად ითვლებოდა. მაგრამ... რსფსრ-ს სამბისტთან — ნიკოლენკოსთან ფინალურ შერკინებაში დამარცხდა. ბადალიანი მაშინ II საპრიზო ადგილზე გავიდა. „დინამოს“ პირველობაზე კი მასაც მიეცა რევანშის შესაძლებლობა. მანაც დაამტკიცა, რომ ლენინგრადში გამარჯვების ღირსი იყო.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებმაც: თეთრაშვილმა, მუმლაძემ და ზაზუნაშვილმა, რომლებმაც II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ზიბოროვი, ბადუშკინი, კოლოკალცოვი (სამივე — რსფსრ), ხანი (უკრაინა), კალბაკოვი (რსფსრ), ბადალიანი, ნინიაშვილი (ორივენი — საქართველო), — სარქისიანი (სომხეთი), ოვჩინიკოვი (რსფსრ), ტრეტიაკოვი (მოსკოვი).

თეთრი კარვების ქალაქში

გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა გელათის ნაკრძალში ცადავარდნილი კოცონის ირგვლივ შეკრებილი ქუთაისის წარმოება-დაწესებულებების ტურისტების მხიარული შეძახილები და საამო სიმღერები.

ქალაქის სპორტკავშირის და ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის“ გამგეობის ინიციატივით აქ გაიმართა შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, იგი მიეძღვნა შოთა რუსთაველის იუბილეს.

შეჯიბრების საზეიმო გახსნის ცერემონიალის შემდეგ მონაწილეები სტარტზე შეიკრიბნენ. კენჭისყრით პირველად ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ტურისტები დაიძრნენ, შემდეგ მათ სხვა გუნდები გაჰყვნენ.

დამთავრდა ტურნირის პირველი სახეობა — კროსი. I-II ადგილები გაიყვეს მაუდის და № 8 სამკერვალო ფაბრიკების ტურისტებმა. ორივე კოლექტივმა ერთნაირი შედეგი (9.45,0) აჩვენა. III ადგილი კი აბრეშუმის კომბინატის ტურისტებს ხვდათ წილად.

კარავის დადგმაში პირველობა არავის დაუთმო გასული წლის ჩემპიონმა, აბრეშუმის კომბინატის გუნდმა (1 წუთი და 15 წამი), რომელმაც შარშანდელი შედეგი 30 წამით გააუმჯობესა. ამ სახეობაში II იყვნენ № 4 სამკერვალო ფაბრიკის ტურისტები — 1.30,0, მაუდელები III ადგილით დაკმაყოფილდნენ...

როცა ასპარეზობის პროგრამა ამოიწურა და მსაჯთა ბრიგადამ შედეგები შეაჯამა, I ადგილი მაუდის ფაბრიკის სპორტსმენებს მიაკუთვნა. II საპრიზო ადგილზეა № 4 სამკერვალო ფაბრიკის ტურისტები III — აბრეშუმის კომბინატის გუნდი.

შეჯიბრებაზე გამოირკვა, რომ ქალაქის მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში ტურიზმის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. საავტომობილო და საკონსერვო ქარხნების, საყოფაცხოვრებო კომბინატის, კავშირგაბმულობის და სხვა კოლექტივებმა ვერ უზრუნველყვეს სრული გუნდის გამოყვანა (იგრძნობოდა ქალების სიზარეკ), ხოლო სატრაქტორო, ლითოფონის, მინის ტარის ქარხნების, ავეჯის, ხორცის, ტყავფეხსაცმლის კომბინატების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს.

შ. ჩიმაკაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

ს ურ ა თ ზ ე: ტურისტთა ერთი ჯგუფი ასპარეზობის წინ.

ფოტო ბ. მალლაფერიძისა.

რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა

გამარჯვების მიუჯედავად

(დასასრული)

სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. კორობკოვს ამ ასპარეზობის შედეგებმა ბევრი საფიქრალი გაუჩინა. როგორც მან თვითონ განაცხადა, საბჭოთა ათლეტებმა გამარჯვეს, მაგრამ ეს არ იყო ბრწყინვალე გამარჯვება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენა. ამ სახეობაში ასპარეზობისას ვ. კუდინსკიმ და ა. კურიანმა იოლად დაამსხვრიეს ძლიერ მეტოქეთა იმედები. სამაგიეროდ, ჩვენი მძლეოსნების კლასი რამდენიმე სახეობაში მკვეთრად ჩამორჩებოდა მეტოქეებისას. ეს განსაკუთრებით ითქმის სპრინტერებსა და საშუალო მანძილებზე მორბენალ ვაჟებზე. ჩვენ მიჩვეული ვართ გამარჯვებას სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში (ვაჟთა შორის), 400 მეტრზე რბენაში, შუბის ტყორცნაში (ქალთა შორის). ახლა კი ისღა დაგვრჩა, მხოლოდ თვალი გვედევნებინა, როგორ იღებდნენ ოქროს მედლებს სხვა ქვეყნების მძლეოსნები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სსრ კავშირის „სპორტის დედოფლის“ მხედრიონმა ბუდაპეშტში ორჯერ ნაკლები უმაღლესი ჯილდო მოიხვეჭა, ვიდრე კონტინენტის 1962 წლის პირველობისას ბელგრადში. მართალია, ჩემპიონატის ბოლო დღეს ბრწყინვალე შედეგები გვქონდა და, ფაქტიურად, ამის წყალობით მოვიგეთ გუნდური პირველობა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბულგარეთისა და იუგოსლავიის მძლეოსნების სახით სარბიელზე ახალი, საშიში მეტოქეები გამოჩნდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ 18 წლის ვ. ნიკოლიჩმა (იუგოსლავია) 800 მეტრზე ქალთა რბენაში ბევრ მასზე გამობრძმედილ სპორტსმენს აჯობა და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ხომენკოვი სწორია. საფიქრალი მართლაც, ბევრი გაგვიჩნდა. თუ ბუდაპეშტის სტარტებიდან [illegible] ბი არ გავაკეთეთ, [illegible] ჰეგემონობას საფრთხე [illegible] ზების აღმოფხვრა. კი ჩვენი საერთო საქმეა. ყველა რესპუბლიკას რომ ნაკრებისთვის იმდენი სპორტსმენი მიეცა, რამდენიც, თუნდაც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა, მაშინ მეტი საშუალება გვექნებოდა არჩევანისა და, ცხადია, არც ასეთი კრიზისის გადატანა მოგვიხდებოდა.

ბოლო 2 დღის ტექნიკური შედეგები

ქალები

800 მეტრზე რბენა

1. ვ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 2.02,8;
2. უ. შაბონე (უნგრეთი) — 2.03,1;
3. ა. გლეიმფელდი (გფრ) — 2.03,7.

საბჭოთა ათლეტები ა. კრივოშეევა (2.04,2) და ვ. მუხანოვა (2.04,8) V და VI იყვნენ.

80 მეტრზე მარჯვრბენი

1. კ. ბალცერი (გდრ) — 10,7;
2. კ. ფრიში (გფრ) — 10,7;
3. ე. ბედნარეკი (პოლონეთი) — 10,7.

აქ ხუთმა სპორტსმენმა აჩვენა 10,7. გამარჯვებული გამოავლინა ფოტოფინიშმა.

6. კულკოვა (სსრ კავშირი) VI ადგილზე გავიდა — 10,9.

ესტაფეტა 4×100 მეტრზე

1. პოლონეთი — 44,4 (ხეზონის ხაუკეთესო შედეგი მსოფლიოში);
2. გფრ — 44,5;
3. სსრ კავშირი — 44,6.

სიგრძეზე ხტომა

1. ი. კირშენშტეინი (პოლონეთი) — 655 სმ (ევროპის ჩემპიონატების რეკორდი).
2. დ. იორგოვა (ბულგარეთი) — 645;
3. ს. ჰოფმანი (გფრ) — 638.

სსრ კავშირის ათლეტები ტ. ტალიშევა (633) და რ. ლაცე (619) VI და VII იყვნენ.

სიმაღლეზე ხტომა

1. ტ. ჩენჩიკი (სსრ კავშირი) — 175 სმ;
2. ლ. კომლევა (სსრ კავშირი) — 173 სმ;
3. ი. ბიედა (პოლონეთი) — 171 სმ.

შუბის ტყორცნა

1. მ. ლიუტგე (გდრ) — 58,74;
2. ფ. პენეში (რუმინეთი) — 56,94;
3. ვ. პოპოვა (სსრ კავშირი) — 56,70;
4. ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი) — 55,96;
5. ე. ოზოლინა (სსრ კავშირი) — 55,52.

ვაჟები

800 მეტრზე რბენა

1. მ. მატუშევსკი (გდრ) — 1.45,3;
2. ფ. კემპერი (გფრ) — 1.46,0;
3. ო. ტიუმერი (გფრ) — 1.46,3.

5.000 მეტრზე რბენა

1. მ. უაზი (საფრანგეთი) — 13.42,8;
2. ვ. ნორპოტი (გფრ) — 13.44,0;
3. ბ. დისნერი (გდრ) — 13.47,8.

3.000 მეტრი წინაღობებით

1. ვ. კუდინსკი (სსრ კავშირი) — 8.26,6 (სსრ კავშირის ახალი რეკორდი და ხეზონში საუკეთესო შედეგი მსოფლიოში);
2. ა. კურიანი (სსრ კავშირი) — 8.28,0;
3. გ. რულანტსი (ბელგია) — 8.28,8.

50 კმ სპორტული სიარული

1. ა. ჰამიჩი (იტალია) — 4:18.42,2;
2. გ. აგაპოვი (სსრ კავშირი) — 4:20.01,2;
3. ა. შჩერბინა (სსრ კავშირი) — 4:20.47,2.

110 მეტრზე მარჯვრბენი

1. ე. ოტოზი (იტალია) — 13,7;
2. ჰ. იონი (გფრ) — 14,0;
3. მ. დიურე (საფრანგეთი) — 14,0;
4. ა. მიხაილოვი (სსრ კავშირი) — 14,1.

ესტაფეტა 4×100 მეტრზე

1. საფრანგეთი — 39,4 (ევროპის ჩემპიონატების რეკორდი);
2. სსრ კავშირი — 39,8;
3. გფრ — 39,8.

ესტაფეტა 4×400 მეტრზე

1. პოლონეთი — 3.04,8;
2. გფრ — 3.04,8;
3. გდრ — 3.05,7.

სსრ კავშირის გუნდი ფინალში ვერ მოხვდა.

მარათონი

1. ჯ. ჰოგანი (ინგლისი) — 2:20.04,6;
2. ა. ვანდერდრიშე (ბელგია) — 2:21.43,6;
3. დ. ტოტი (უნგრეთი) — 2:22.02,0.

საბჭოთა მარათონელები ა. სკრიპნიკოვი (2:23.14,8) და ა. სუბარკოვი (2:23.33,8) V და VI იყვნენ.

ურმის ტყორცნა

1. რ. კლიმი (სსრ კავშირი) — 70,62;
2. დ. ეიოოცკი (უნგრეთი) — 68,62;
3. უ. ბეიერი (გფრ) — 67,28.

სამხტომი

1. გ. სტოიკოვსკი (ბულგარეთი) — 16,67 სმ (ევროპის ჩემპიონატების რეკორდი);
2. ჰ. რიუკბორნი (გდრ) — 16,66;
3. ჰ. კალოჩაი (უნგრეთი) — 16,59.

სსრ კავშირის სპორტსმენები სუსტად გამოვიდნენ.

არაოფიციალური გუნდური ჩათვლა

1. სსრ კავშირი — 144 ქულა;
2. გფრ — 128;
3. გდრ — 122.



ᲥᲮᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

● ბრინდიზი (იტალია), 6 სექტემბერი. ჭაბუკ კალათბურთელთა ევროპულ ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს აქ გამართულ 21-ე საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში. ბოლო ტურში ისინი შეხვდნენ მასპინძლებს და გაიმარჯვეს— 81:56. საბერძნეთის ნაკრებმა მოუგო გფრ-ს — 69:62, ისრაელის კალათბურთელებმა სძლიეს ესპანელებს — 52:50. ამრიგად, სსრ კავშირის სპორტსმენებმა ტურნირში ყველა შეხვედრა მოიგეს და 10 ქულით პირველი ადგილი დაისაკუთრეს. II იყო იტალია, III — ისრაელი.

● მოსკოვი, 6 სექტემბერი. შვეულმფრენ „მი-1“-ით ერთდროულად მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა ორენბურგელმა თამარ ლარინამ. 1000-კილომეტრიან შეკრულ მარშრუტზე მან საათში 136 კილომეტრის სისწრაფით იფრინა. ამავე გაფრენში ლარინამ დაამყარა შორს ფრენის რეკორდი — 1004 კილომეტრი. მსოფლიოს ძველი რეკორდი, რომელიც ტ. რუსიანს (სსრ კავშირი) ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია 200 კილომეტრზე მეტით.

● ლიონი, 5 სექტემბერი. „ფინის“ კლასის აფრიანი ნავებით ევროპის პირველობაში წარმატებით გამოდის კიეველი ვ. მანკინი. პირველ რბოლაში მან მხოლოდ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან, ბრაზილიელ ი. ბრუდერთან წააგო. რეგატა, რომელშიც 25 ქვეყნის 52 იახტა მონაწილეობს, ავსტრიის ტბა ატერზეეზე ტარდება.

● კილი, 5 სექტემბერი. „ვარსკვლავის“ კლასის იახტებით მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი რბოლა მოიგო ცნობილმა დანიელმა გემების მფლობელმა პ. ელვსტემმა. 1960 წლის ოლიმპიური ჩემპიონის ტ. პინეგინის იახტა ფინიშთან VI იყო.

● გამართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. აი შედეგებიც: „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „არაქსი“ (ერევანი) 4:1, „უროჟაი“ (კრემსკი) — „ლერნაგორციი“ (კაფანი) 2:1, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „სევანი“ (ოქტომბერიანი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „ლორი“ (კიროვაკანი) 0:2, „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0, „დინამო“ (მახაჩყალა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0, „უროჟაი“ (დერბენტი) — „დილა“ (გორი) 1:0.

ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲣᲡᲬᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲡ

პრაღაში მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების არმიელ მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან ამ ასპარეზობაში გამოდიან დიდოსტატი ე. გელერი და საბჭოთა არმიის წლევანდელი ჩემპიონი, ოსტატი ვ. ჟელიანდინოვი.

7 ტურის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელ ოსტატ ა. პრიბილს 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 5,5-5,5 ქულა (7-დან) აქვთ ე. გელერს, ვ. ჰორტსა და ვ. ჟელიანდინოვს, 5 ქულა მ. ბობოცოვს.

ᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

სოფიაში სამ კვირას გრძელდებოდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს პირველობის ზონალური ტურნირი, რომელშიც ევროპის ქვეყნებიდან 15 ოსტატი მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ გამოცდილმა ოსტატებმა ვერ გაუძლეს ახალგაზრდების კონკურენციას და პრეტენდენტების ტურნირში ვერ მოხვდნენ კელერ-გერმანი (გდრ), კარაკაშნე (უნგრეთი), პოლიქრონიადე (რუმინეთი) და ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია).

მოულოდნელი აღმოჩნდა ახალგაზრდა გერმანელი მოჭადრაკის ნოვარას I ადგილი (9,5 ქულა 14-დან). მის გარდა, პრეტენდენტების ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს ნიკოლაუმ (რუმინეთი) და ასენოვამ (ბულგარეთი) — 9-9.

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუშინწინდელ ამხანაგურ მატჩში ქუთაისელებმა მეტოქის კარის მისადგომებთან საჯარიმო დარტყმის ოსტატურად შესრულების საუკეთესო ნიმუში წარმოგვიდგინეს. მასპინძელთა მცველებმა — დინამოელებმა კედელი აღმართეს, რომელსაც თითქოს ბზარს ვერსად უნახავდით, მათი მეტოქენი კი მინდორზე თავისუფალ ადგილს „ამაოდ ეძებდნენ“. ქუთაისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ხაჟალიამ ბურთი უბრალოდ თავზე გადაუგდო მასპინძელთა „ბასტიონს“. ვიდრე ისინი მოულოდნელობიდან გამოერკვეოდნენ და გადაჯგუფებას მოახერხებდნენ, ბურთს მიუსწრო იქვე ჩასაფრებულმა ჩხარტიშვილმა და მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ სიჩქარეში ბურთს ხვირიანად ვერ დაარტყა.

ამ სურათზე, რომელიც ა. კოტორაშვილმა გადაიღო, სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. ხაჟალიამ (მარცხნივ, თეთრ მაისურში) ბურთი „კედელს“ გადაუგდო თავზე. იამანიძე, პეტრიაშვილი, შერგელაშვილი და სახვაძე მხოლოდ თვალს ადევნებენ ბურთის მოძრაობას, რომელიც ჩხარტიშვილთან ეშვება. მეტოქისკენ დინამოელი ჭელიძე მოისწრაფის, მაგრამ გვიანლაა. თბილისელთა კარი მარტო ჩხარტიშვილს უზუსტობამ ისნა.

ᲥᲐᲚᲝᲡᲜᲣᲠ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

პოდოლსკი. აქაური ფიცარნაგი საოცრად ნაყოფიერია რეკორდების მხრივ. სწორედ აქ დაამყარა ი. ვლასოვმა ფენომენალური რეკორდი სამჭიდში (580 კგ), რომელიც დღესაც უძლეველია. ახლახან კი ფიცარნაგის სტუმრები იყვნენ 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ძალოსნები. მათაც არ უღალატეს ტრადიციას და რამდენიმე საკავშირო რეკორდი დაამყარეს ჭაბუკთათვის.

პირველმა ა. გულიაევმა (ქვემსუბუქი წონა) ატაცში 105 კგ აჩვენა. თავი ისახელა მსუბუქი წონის ძალოსანმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. ფილიმონოვმა (რუსაევკა): მან 147,5 კგ აკრა, ხოლო სამჭიდის ჯამში 360 კგ დაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. აშხაბადელმა ყ. მიატიევმა (ქვესაშუალო წონა) კი 125 კილოგრამი აკრა. ოსტატის ნორმა მანაც პირველად შეასრულა — 385 კგ.

სპორტის ოსტატი გახდა საშუალო წონის ძალოსანი, მოსკოველი გ. გრომცევი — 405 კგ.

ორი რეკორდის ავტორია გორკელი ი. კაზაევი (ქვემძიმე წონა): ატაცი — 132,5 კგ, აკვრა — 170,5 კგ.

მძიმე წონის ძალოსანმა, პოდოლსკელმა ვ. ივანოვმა 148 კგ აკრა, რაც, აგრეთვე, ახალი საკავშირო რეკორდია.

* * *

ლუგანსკი. „ზარიას“ ფიცარნაგზე დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება საწარმოთა სპორტკლუბებს შორის. ასპარეზობაში 27 სხვადასხვა კოლექტივის 200-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. წინა, 1964 წლის შეჯიბრების ჩემპიონებმა, ლუგანსკის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თბომავალსაშენი ქარხნის ძალოსნებმა საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს. ამ ქარხნის ძალოსნები 8 წონითი კატეგორიიდან ხუთში პირველები იყვნენ: ევროპის ჩემპიონი, ზეინკალი ა. კიდიაევი, ზეინკლები ა. ხაჩატურიანი და ვ. რუდენკო, ოპერატორი ი. იაბლონოვსკი და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გ. დიაჩენკო.

ლუგანსკელი გოლიათები ექვონებითა და პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ხოლო მათ უცვლელ ხელმძღვანელს, უკრაინის დამსახურებულ მწვრთნელს პ. ზაბლოცკის სიგელი და საპატიო საჩუქარი გადაეცა.

II ადგილზე გავიდნენ ზაპოროჟიეს „სტროიტელის“ ძალოსნები, ხოლო III — ლენინგრადის „პოლშევიკის“ სპორტსმენები.

ალიარებ-ბა!..

მსოფლიო ჩემპიონატებში არგენტინის გუნდის მონაწილეობა, როგორც წესი, მუდამ სენსაციას იწვევს. ინგლისის მინდვრებზე არგენტინელები, მართლაც, ცუდი მს.ჯობის მსხვერპლნი გახდნენ და სპორტული პრესა ერთხმად ადანაშაულებს გერმანელ არბიტრს რ. კრაიტლაინს, რომელმაც ინგლის — არგენტინის მეოთხედფინალურ მატჩში მინდვრიდან გააძევა უდანაშაულო არგენტინელი რატინი და ინგლისელებს გამარჯვება გაუადვილა. ეს ასე იყო. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ არგენტინულ ფეხბურთშია ყველაზე მეტი შემთხვევა მუშტი-კრივისა და უზნეობისა.

გთავაზობთ ორ ნაწყვეტს არგენტინული პრესიდან, რომლებიც საკმაოდ კარგად ახასიათებენ ამ ქვეყნის ფეხბურთში გაბატონებულ ზნე-ჩვეულებებს. ბუენოს-აირესის „კლარინში“ მსოფლიო პირველობის დაწყების წინ დაიბეჭდა წერილი სათაურით: „ნ რჩევა ფეხბურთელებს. ცინიზმი და სიმულაცია არ უნდა იყოს დავიწყებული ფეხბურთის ტაქტიკურ ხერხებს შორის“. პირველ რჩევა-დარიგებებში ფიდიდა: ბურთისთვის თავგანწირული ბრძოლა, შრომისმოყვარეობის აუცილებლობა და ა. შ., მაგრამ საინტერესოა დანარჩენი რჩევებიც, რომელთა სრულ ტექსტსაც გთავაზობთ:

„IV რ ჩ ე ვ ა. გვეყო „ისტერია“ არგენტინელ მოთამაშეებში. თუ მეტოქემ წინსული ამოგარტყა, შენც ასევე წინსლით გაუმასპინძლდი მას. ნუ მიიღებ მოკრივის დგომს, მაგრამ ცრემლები და ტკივილის გამოხატვა საქმეს არ შველის, პირიქით, შეეცადე მეტოქე მინდვრიდან გააძევებინო საერთოდ, მინდორზე მასვილგონივრული მოქმედების ბევრი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად უნდა ერიდო ერთს — ჩხუბს. ამის კარგი მაგალითი ესპანელმა ზუბიეტამ („სან-ლორენცოში“ თამაშობს) გვიჩვენა: „ველეზთან“ მატჩში ზუბიეტას მეტოქის ფორვარდმა რამდენიმეჯერ დაარტყა, მაგრამ ზუბიეტას ხელები ზურგს უკან ჰქონდა და არ პასუხობდა. „ველეზის“ ეს მოთამაშე ყოფილი მოკრივე იყო და ჩხუბი ეხერხებოდა. თქვენ იფიქრებთ, ზუბიეტას შეეშინდა და იმიტომაც არ უპასუხა? 50 ათასი მაყურებლის წინაშე რომ გირტყან, სასიამოვნო ამაში არაფერია, მაგრამ ზუბიეტამ მაინც მოითმინა. ყოფილი მოკრივე კი მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. მხოლოდ თამაშის შემდეგ აჩვენა ზუბიეტამ მას, რომ ჩხუბი მასაც ეხერხებოდა და მოწინააღმდეგეს ისე გაუსწორა ანგარიში, რომ ეს უკანასკნელი ორი დღე საავადმყოფოში იწვა.

V რ ჩ ე ვ ა. არის შეხვედრები, როცა შენს გუნდს თამაში არ გამოუვიდა. ასეთი მდგომარეობის გამოსწორებაც შეიძლება უნდა „გააცივო“ მატჩიც, მეტოქეც და ამავე დროს ელოდო ხელსაყრელ მომენტს. რითი შეიძლება ამის მიღწევა? ბურთის განწყობელი ფლობით, მაგრამ თუ ესეც არ გამოდის, უნდა მიმართოთ სიმულაციას. გუნდის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ეხერხება „მიწაზე გდება“, თავის საქმეს უნდა შეუდგეს. მაგალითი: 1957 წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მატჩში იმ დროს ცნობილი გუნდი „ლიმა“ ცუდ დღეში ჩავარდა, მაგრამ მის რიგებში იყო მოთამაშე, რომელიც ფეხბურთს მსახიობობას უთავსებდა. მეტოქის შეხებისას იგი ოთხჯერ მაინც გადატრიალდებოდა ხოლმე მინდორზე და მკვდარივით ეგდო. ყველას ეგონა, რომ იგი გარდაიცვალა. აბა, რომელი არბიტრი (თუნდაც ინგლისელი!) არ შეაჩერებდა შეხვედრას? სპექტაკლის სისრულისათვის მინდორზე გამორბოდნენ „გარდაცვლილის“ მწვრთნელი, ექიმი და მასაჟისტი. აკლდა მხოლოდ დაკრძალვათა ბიუროს წარმომადგენელი. „გარდაცვლილის“ სახელი? ენრიკე ომარ სივორი. მან თავისი საქმე კარგად გააკეთა, შემდეგ მომენტი იხელთა და გუნდი ფონს გაიყვანა.

წმინდა ფეხბურთი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. ცინიზმი და სიმულაცია ყოველი გუნდის ტაქტიკურ ბაგაჟში შედის, თუ, რა თქმა უნდა. ეს გუნდი შემთხვევაზე არ აგებს იმედებს იყო პატიოსანი ადამიანი, ერთგული მეგობარი, ჯენტლმენი... ეს სრულიადაც არ კმარა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად“.

ეს სტატია დაბეჭდა ფრანგულმა ჟურნალმა „მირუარ დიუ ფუტბალმა“ და ასეთი სათაური დაურთო — „არაჩვეულებრივი, იშვიათი დოკუმენტი“!.

კომენტარები, მართლაც, რომ საჭირო აღარ არის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგივე „კლარინში“ იგივე ავტორს (ხუსტო პიერნესს) შემდეგი სტრიქონები ეკუთვნის: „ყურადღება! იწყება ევროპისა და სამხრეთ ამერიკის დიდი ომი. ინგლისში ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ არგენტინულ ფეხბურთს სამარცხვინო დაღი დასვამ. ევროპული ფეხბურთისთვის აუცილებელია მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი დაეუფლოს ჟიულ რიმეს თასს. გავერთიანდეთ ბრაზილიასთან, ურუგვაისთან, ჩილისთან და მექსიკასთან, ვებრძოლოთ მტრულად განწყობილ არბიტრებს!“, ეს წერილი ჩემპიონატის დაწყების დღესაა დაბეჭდილი.

ზემოთმოყვანილი ორი ნაწყვეტი გავლენიანი არგენტინული გაზეთიდან, სწორად ასახავენ ამ ქვეყნის ფეხბურთში გაბატონებულ არასპორტულ ატმოსფეროს?

ა. რონდელი.

40 წლის თავზე

სპორტი ეროვნულად

უფროსი ფეხბურთის ვეტერანს, 67 წლის პენსიონერს კარლ სებერგს უკვე 40 წელია ალარ უთამაშია. და აი, ახლახან მას სთხოვეს ქალაქ ახბის „ბ“ კლასის გუნდის შემადგენლობაში გამოსულიყო მინდორზე. როგორც ამბობენ, ვეტერანი ცუდი მარჯვენა გარემარბი როდი გამოდგა, როგორც იუპი-ს სააგენტო იუწყება, სებერგს არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რომ ახბის გუნდმა სომენის (სამხრეთ შვეცია) ფეხბურთელებთან დიდი ანგარიშით (0:19) წააგო.

შეხვედრის დაწყებამდე უხუცესმა ფეხბურთელმა, როგორც ჩანს, გასავარჯიშებლად 40 კმ გაიარა ველოსიპედით. მატჩის დამთავრების შემდეგ კი ველოსიპედითვე დაბრუნდა. შინ. მისი სახლი სტადიონს 15 კილომეტრითაა დაცილებული.





მცხეთის საგუბარი და წყალჯომარდობის ადგური ბაიდარებითა და კახოეთი ნიჩბოსნობის განვითარების შესანიშნავ პირობებს ქმნიან. რასაც კარგად იყენებენ ადგილობრივი ახალგაზრდები და რეგულარული წვრთნით წარმატებებსაც აღწევენ. აქაური ათლეტები რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონები და სსრ კავშირის პირველობის მონაწილენი არიან. მცხეთელები ნიჩბოსნობას ბავშვობიდანვე ეტანებიან, თანატოლთა ასპარეზობებში ვაჟკაცდებიან და შემდეგ საქართველოს მოზრდილთა ნაკრებშიც იმკვიდრებენ ადგილებს. ნიჩბოსნების ეს სამჭედლო ყოველთვის გადატვირთულია — აქ დილიდან საღამომდე ვარჯიშობენ „ლოკომოტივის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „განთიადის“ სპორტსმენები და ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები, მაგრამ ზოგჯერ ისინიც იძულებულნი არიან შევიწროვდნენ — აპპარეზი დაუთმონ საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატებს, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი წესრიგში იყოს. სპორტსმენები მაინცდამაინც განებივრებულნი როდი არიან პირველხარისხოვანი ინვენტარით. წყალჯომარდობის სადგურები სათანადოდ არ არის აღჭურვილი.

* * *

სურათებზე: ზევით — **ნორჩები ვარჯიშზე;** ქვევით — **მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. გირდა სპორტსმენებს მითითებას აძლევს.**

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

ფეხბურთის სტატისტიკოსის-ბლოკნოტი

20 წელი ეროვნული ნაკრების კარის სადარაჯოზე

როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობა ფეხბურთში ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. 4 წელი ფეხბურთელის ცხოვრებაში არც ისე პატარა დროა, ამიტომ ზოგიერთი სპორტსმენი ერთხელ ან ორჯერ თუ ახერხებს ჟიულ რიმეს თასისთვის ბრძოლას. მაგრამ არიან მარად უჭკნობი ფეხბურთელები, რომლებმაც დროსაც კი აჯობეს. ასეთ უბერებელთა რიცხვს, პირველ ყოვლისა, მექსიკის ეროვნული ნაკრების მეკარე ანტონიო კარაბახალი მიეკუთვნება,

კარაბახალისთვის ოქროს ქალღმერთი 1950 წლიდან არსებობს. მსოფლიო ჩემპიონატში მან სწორედ ამ წელს მიიღო პირველად მონაწილეობა (ბრაზილიაში). კარაბახალი გამოდიოდა შვეიცარიის (1954 წ.), შვეიცის (1958 წ.), ჩილისა (1962 წ.) და ინგლისის (1966 წ.) მსოფლიო ჩემპიონატებში. 20 წელი ეროვნული ნაკრების კარის სადარაჯოზე, მართლაც, ფენომენალური ამბავია!

მექსიკელის რეკორდთან ახლოს იდგა ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი მცველი, ბრაზილიელი ჯალმა სანტოსი. შვეიცარიის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მან ინგლისამდე მოაღწია, მაგრამ ბრაზილიელთა ბოლო კრახის შემდეგ მან მიატოვა ფეხბურთის თამაში.

3-3 ჩემპიონატის გამოცდილება აქვთ იაშინს (სსრ კავშირი), პელეს, გარინჩას, ნილტონ სანტოსს, დიდისა და ჟილმარს (ბრაზილია), შეფერს, ზეელერს და შნეელინგერს (გფრ), რაატს (ინგლისი), გროშიჩს, ფიპოშს, მატრაის (უნგრეთი), კარდენასს, დელ მეროს, რეიეს (მექსიკა), ნოვაკს, პლუსკალს (ჩეხოსლოვაკია) და რუმინელ ბორგელს.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ის ფეხბურთელები, რომლებიც კარგი ფიზიკური მომზადებისა და უმაღლესი ოსტატობის წყალობით ხანგრძლივად შემორჩნენ ყველაზე სატატიო თასისთვის ბრძოლას. მაგრამ რამდენია იაეთი, რომელიც ბედის უკუღმართობით, ან სხვა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით (სხვა ქვეყანაში თამაში და ა. შ.) ამ სიის მიღმა დარჩა. განა გულდასაწყვეტი არ არის, რომ მსოფლიო ჩემპიონატებში იშვიათად ან სრულებით ვერ ვსვდებით ტყავის ბურთის ისეთ ვირტუოზებს, როგორიცაა დი სტეფანო, სივორი, სუარესი?..

ჯგუფი A

- **ლისაბონი.** „ბენფიკამ“, რომელსაც კვლავინდებურად ფ. რიერა წვრთნის, „ვიტორია სეტუბალიდან“ გადაიბირა ნიჭიერი ნახევარმცველი გრაცა. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში და „ბენფიკასთვის“ დიდი შენაძენი უნდა იყოს.
- **ლონდონი.** ინგლისის ნაკრების კაპიტანი ბობი მური ამიერიდან მიეკუთვნება ე. წ. „100-გირვანქიანთა კლუბს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფეხბურთელს კლუბი „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ ყოველკვირა გადაუხდის 100 გირვანქა სტერლინგს, რაც ინგლისელ ფეხბურთელთათვის უმაღლესი კატეგორიის გასამრჯელოდ ითვლება.
- **სტოკჰოლმი.** შვეციის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ო. ბერგმარკის გამოჯანმრთელებამდე (მან სერიოზული ტრავმა მიიღო ავტომობილის კატასტროფის დროს), ეროვნულ ნაკრებს სათავეში ჩაუდგება გ. ერიკსენი, რომელიც აქამდე ხელმძღვანელობდა ჭაბუკთა ეროვნულ ნაკრებს.
- **კიოლნი.** „ფკ კიოლნი“ ამიერიდან მიჩნეულია ყველაზე უფრო „კოსმოპოლიტურ გუნდად“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. აქ თამაშობენ დანიის ნაკრების თავდამსხმელი სორენსენი, იუგოსლავიელები ჩენინაცი და შოშკიჩი, „სკანდინავიის მეტიუზად“ წოდებული შვეციელი მაგნუსონი და სხვა უცხოელები. ახლა პირველი ლიგის კლუბებში გამოდის 13 იუგოსლავიელი, 3 შვეციელი, 3 დანიელი, 2 ავსტრიელი და 1 ფრანგი.
- **ბერლინი.** გდრ-ის ნაკრების კაპიტანი ურბანჩიკი, რომელმაც უმძიმესი ტრავმა მიიღო (ფეხი მოტყდა) ტოკიოს ოლიმპიადის დროს, მრავალ ექსპერტს მიაჩნდა ფეხბურთისათვის სამუდამოდ დაკარგულად. მაგრამ ეს ფეხლსაზრისი მცდარი აღმოჩნდა. ურბანჩიკი არა თუ გამოჯანმრთელდა, არამედ კვლავ საუცხოოდ თამაშობს და ამ დღეებში დაუბრუნდა კიდეც ეროვნულ ნაკრებს.
- **მაინის ფრანკფურტი.** „დრუმკონდრა“ (დუბლინი) და „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) შეთანხმდნენ, რომ „ბაზრობათა ქალაქების თასზე“ ერომანეთს შეხვდებიან 21 სექტემბერს დუბლინსა და 5 ოქტომბერს — მაინის ფრანკფურტში.
- **ტორონტო.** „ბენფიკამ“ ტორონტოში დაამარცხა ადგილობრივი „იტალია ფალკონი“ ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა ტორესმა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი ორგანიზაციების საყურადღებოდ.

10-18 სექტემბერს თბილისში ტარდება სოფლის მეურნეოთა I რესპუბლიკური სპარტაკიადა.

სპარტაკიადაში მონაწილე ორგანიზაციების გუნდების წარმომადგენლები უნდა გამოცხადდნენ 10 სექტემბერს სამინისტროს შენობაში მოწყობილ სპარტაკიადის შტაბში (ლენინის ქ. № 65) დილის 9-დან 14 საათამდე.

სპარტაკიადის
საორგანიზაციო
კომიტეტი.

„ლელო“ ვარსკვლავი ფეხბურთში

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3.95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3.93-81.